



**შპს კედარი 2000 ს/კ 229317600 ფინანსური ანგარიშგება მცირე და
საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე
2020 წელი**

შპს კედარი 2000, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებული საქართველოში, დუშეთის რ-ნის სასამართლოში რეგისტრაციის ნომერი 30/5/ბ-169, თარიღი: 21 მაისი 2002 წელს. იურიდიული მისამართი: საქართველო, დუშეთის რ-ნი დაბა ჟინვალის სამშენებლო პოლიგონი. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს კედარი 2000-ს 55% იანი წილის მფლობელია თამარ ქაჩიშვილი (პ/ნ 01001058266), 45% წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტრანს ექსპრეს ჯორჯია ს/კ 400125976. შპს კედარი 2000 ი-ს დირექტორია არჩილ ჯამაგიძე (პ/ნ 01001018597).

შპს კედარი 2000 ი-ს, ფაქტიური მისამართია: დუშეთის რ-ნი დაბა ჟინვალის სამშენებლო პოლიგონი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სხვა და სხვა ჯიშის მორის დახერხვა და რანდვა, და საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყის მასალით.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტების მითითება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები		1038554.65	1 098 102	755496
ძირითადი საშუალებები	3	1038555	1 098 102	755 496
საინვესტიციო ქონება	4	-	-	-
ბიოლოგიური აქტივი	5	-	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-	-
		1038555	1 098 102	755 496
მოკლევადიანი აქტივები		542058	303 316	331 068
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1	1	7 958
საეჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	200650	146 508	164 891
მარაგები	8	341407	156 777	158 218
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	-	30	-
მთლიანი აქტივები		1580613	1401418	1086564
მთლიანი კაპიტალი		(75 164)	89 961	208 735
საწესდებო კაპიტალი		218585	218 585	213 211
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(293 748)	(128 624)	(4 475)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
გრძელვადიანი სესხები	10	-	-	-
ანარიცხები	11	-	-	-
		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		1655777	1 311 457	877828
მოკლევადიანი სესხები	10	1230244	948 642	399 618
გადავადებული შემოსავალი	12	-	-	-
საეჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	380131	339012.8	440 196
საგადასახადო ვალდებულებები	14	33694.74	13698.99	27 173
საპენსიო გადასახადი		2795	1 192	-
გადასახდელი პროცენტი		8912	8 912	10 841
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
მთლიანი ვალდებულებები		1655777	1311457	877828
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1580613	1401418	1086564

დირექტორი

არჩილ ჯამაგიძე



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	16	38723	197 580
თვითღირებულება		(19 592)	(124 181)
საერთო მოგება		19 131	73398
სხვა შემოსავლები	17	723.73	12 043
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(155 470)	(203 030)
მიწოდების დანახარჯები		(1 025)	(2 910)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	19355.13	(1 410)
სხვა ხარჯები	19	(3 575)	(1 277)
საოპერაციო მოგება		(120 860)	(123 185)
ფინანსური შემოსავალი	20	-	30.33
ფინანსური ხარჯი	20	(44 264)	(994)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(44 264)	(964)
მოგება დაბეგვრამდე		(165 125)	(124 149)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(165 125)	(124 149)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(165 125)	(124 149)

დირექტორი

არჩილ ჯამაგიძე



ფულადი ნაკადის ანგარიშების უწყესი 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი	2020	2019
	(97 747)	(529 628)
მყიდველებისგან მიღებული ფული	20 028	105 716
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(59 157)	(559 701)
გადახდილი ხელფასები	(56 786)	(62 245)
გადახდილი მოგების გადასახადები		
გადახდილი გადასახადი	(1 737)	(17 143)
სხვა ფულადი შემოღინება(შერწყმოდ მიღებული ფული 2018წ)		5 374
სხვა ფულადი გადინება	(95)	(1 629)
	30	-
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფული(შექმნილი ძირითადი საშუალება)		
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით მიღებული ფული(გაყიდული ძირითადი საშუალება)		
მიღებული დივიდენდები და პროცენტები	30	
	97 717	521 670
მიღებული სესხები	103 881	783 769
სესხის დაფარვა	(7 075)	(258 261)
გადახდილი პროცენტები		(2 829)
გადახდილი დივიდენდები		
გაცემული სესხი		(911)
დაბრუნებული სესხი	911	
გაცვლითი კურსის ეფექტი		(98)
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	(0.80)	(7 957)
ფული წლის დასაწყისში	0.8	7 958.20
ფული წლის ბოლოს	1.02	1

დირექტორი

არჩილ ჯამაგიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	213210.54	(4 475)	208735.47
მოგება წლის ბოლოს		(123 185)	(123 185)
სხვა სრული შემოსავალი		(964)	(964)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(124 149)	(124 149)
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	5374.4		5374.4
2019 წლის 31 დეკემბერი	218584.94	(128 624)	89961.09
მოგება წლის ბოლოს		(165 125)	(165 125)
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(165 125)	(165 125)
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა			-
2020 წლის 31 დეკემბერი	218584.94	(293 748)	(75 164)

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრს
დასრულებული წლისთვის**

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ვალუტის ფულად ერთეულში (ლარი), რომელიც წარმოადგენს შპს კედარი 2000ს წარსადგენ ვალუტას და კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს

პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება,

რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთ გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა	(წელი)
შენობები და ნაგებობები	50-8
საწარმოო მანქანა დანადგარები	15-2
ელექტრო მოწყობილობა	5-2
კომპიუტერული ტექნიკა	4-2
სხვა ამორტიზირებული ძირითადი საშუალება	4-2

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს შენობა ნაგებობების სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სამშენებლო მასალებს და მანქანა დანადგარების შეკეთებისთვის აუცილებელ სათადარიგო ნაწილებს და სახარჯ მასალას, როგორცაა საპოხი ზეთი, ძრავის ზეთი, დიზელის საწვავი,

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანია საერთაშორისო გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურეობის საქმიანობიდან განთავისუფლებულია ჩათვლის უფლებით ამ გადასახადისგან, ხოლო ადგილობრივი გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურეობის დროს იბეგრება დღგს გადასახადით.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კერძოდ კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფარეხის ტიპის 40კვ მეტრი ფართი თბომავლის სათადარიგო და სახარჯი მასალების შესანახად.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების

ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

შენიშვნა 3 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობებ- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ელექტრო მოწყობილო ბა	კომპიუტ.ტექ ნიკა და პერიფერიუ ლი მოწ	სხვა ამორტიზებ ადი ძირ საშ
31 დეკემბერი 2018	90618	575245	75122	8141	5473	896
პერიოდის ცვლა		(21 100)	(19 067)	(2 789)	(2 167)	(594)
კაპიტალური რემონტი		169 916	6 985			
შემოსვლა			208 717	2 038		669
31 დეკემბერი 2019წ	90618	724062	271757	7389	3306	971
პერიოდის ცვლა		(29 487)	(24 821)	(2 963)	(1 988)	(435)
შემოსვლა				32.20		114.41
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020წ	90618	694575	246935	4458	1318	650

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. შპს კედარი 2000-ს მიერ 2019 -2020 წლებში დივიდენდების განაწილება არ გამოცხადებულა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

შენიშვნა 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2020	2019
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	1	1
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები		
სულ	1	1

შენიშვნა 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	195 743	141 601
გადახდილი ავანსები	4 907	4 907
სულ	200650	146508

გასწორებულია 2019 წლის სავაჭრო მოთხოვნასი საკურსო სხვაობა შეადგენს 5744 ლარი და 2018წ 117 ლარი

შენიშვნა 8 მარაგები

	2020	2019
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	3 723	1652.19
ნედლეული და მასალები	14 304	24 430
ნარჩენი	3 228	518.07
მზა პროდუქცია	320 153	130 177
სულ	341407	156777

2019 წელს ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა გაყიდული საქონლიდან 5430 ლარი, პროდუქციიდან 118751 ლარი და კაპიტალური რემონტის ხარჯი 126693 ლარი, 2020 წელს ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა გაყიდული პროდუქციიდან 19592 ლარი და მიმდინარე რემონტის ხარჯი 5338 ლარი

შენიშვნა 9 მისაღები დივიდენდები და პროცენტები

	2020	2019
მისაღები დივიდენდები		
მისაღები პროცენტები		50
სულ	0	50

შენიშვნა 10 სესხები

	2020	2019
საბანკო სესხები		-
სესხი იურიდიული პირიდან	17 550	17 550
სესხი პარტნიორებისაგან	1 212 694	931 092
სულ	1230244	948642

სესხი პარტნიორიდან უპროცენტოა.

შენიშვნა 13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	284 592	240 677
მიღებული ავანსები	95 539	98 335
სულ	380131	339013

შენიშვნა 14 საგადასახადო ვალდებულებები

	2020	2019
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	7 916	
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა		
საშემოსავლო გადასახადები	(1 135)	(684)
დღგ	8 671	24 268
ქონების და მიწის გადასახადი	(17 027)	(15 611)
სხვა საგადასახადო ვალდებულება ინვენტარიზაციის ჯარიმა	(24 205)	(21 672)
სულ	(33 695)	(13 699)

შენიშვნა 16 ამონაგები

	2020	2019
პროდუქციის გაყიდვა	36 024	147 389
მომსახურების გაწევა	2 699	50 191
სულ	38723	197580

შენიშვნა 17 სხვა შემოსავალი

	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	724	12 043
სულ	724	12043

შენიშვნა 18 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2020	2019
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	19 355	(1 410)
სულ	19355	(1 410)

2019წ იყო არასწორეთ დაანგარიშებული საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

სხვაობა შეადგენს (1 398) ლარს

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია დირექტორის არჩილ ჯამაგიძის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

არჩილ ჯამაგიძე

